საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/40 “ 25 ” მაისი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

„სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის მოძრავი ქონების ჩამოწერასა და განკარგვაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 20 მაისის №1/39 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმდინარე წლის 17 თებერვლის №06-1360 წერილით მომართა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა და მოითხოვა თანხმობის გაცემა საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ბალანსიდან ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამოწერასა და განკარგვაზე. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 20 მაისის №1/39 განკარგულებით სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს თანხმობა მიეცა დეპარტამენტის ბალანსიდან განკარგულების დანართში მითითებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამოწერასა და განკარგვაზე.

მიმდინარე წლის 24 მაისს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს №01-4528 წერილით მომართა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა და მოითხოვა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 20 მაისის №1/39 განკარგულების გაუქმება, რის საფუძვლადაც, ახალი ავტომობილების შეძენისათვის საჭირო ხანგრძლივი ვადის გათვალისწინებით, შესაბამის ვადაში ავტომობილების შეძენის შეუძლებლობა და მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან აცილება დასახელდა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო გაეცნო წარმოდგენილ წერილს და დასაბუთებულად მიიჩნევს მოთხოვნას შესაბამისი განკარგულების ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის მოძრავი ქონების ჩამოწერასა და განკარგვაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 20 მაისის №1/39 განკარგულება.

2. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი